

თედო უთურგაიძე

სუბსტანტიური მსაზღვრელი ძველსა და თანამედროვე ქართულში

არსებითი სახელი ზედსართავის ფუნქციით, ანუ სუბსტანტიური მსაზღვრელი ზნის რომელიმე აქტანტს განსაზღვრავს. მას ხან „მართულ“, ხანაც „მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს“ უწოდებენ იმის მიხედვით, წინ უსწრებს თუ მოსდევს საზღვრულს. ძველი ქართულის „კაცისა შვილი“ შესიტყვებაში „კაცისა“ მართულ მსაზღვრელად მიჩნევა, ხოლო „შვილი კაცისა-ა“ შესიტყვებაში „კაცისა-ა“ მიჩნეულია „მართულ-შეთანხმებულ“ მსაზღვრელად.

რაღან საზღვრულიცა და მსაზღვრელიც — ორივე სახელია და ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორიები (ბრუნება, რიცხვი) აქვთ, საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის თეორიულად გამორიცხულია მართვა, ე. ი. არ არსებობს არც მართული მსაზღვრელი და, მით უმეტეს, არც მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი, რაც თავის მხრივ ორმაგ ბრუნებას ვარაუდობს. ბრუნვები ბრუნების კატეგორიის ელემენტებია; მათ, როგორც პარადიგმატულ ერთეულებს, შეუძლიათ ურთიერთხანაცვლება, მაგრამ არ შეუძლიათ თანაარსებობა ერთფორმაში.

ძველი ქართულის „მართულ“ და „მართულ-შეთანხმებულ“ ფორმებში -ის/-ისა წარმოქმნის ელემენტებია. სწორედ ამის გამოა შესაძლებელი მათი გამეორება ბრუნების კატეგორიის შეპირისპირებულ ყველა ფორმაში — ბრუნვებში.

-ის/-ისა ფუძის ლექსიკური შემადგენელია და არა ფლექსიური ელემენტი. ბრუნვის ნიშანთა ასეთი გარდაქმნა ჩვეულებრივია: ისინი მაშინვე დერივაციულ ელემენტებად მოიქცევიან, რო-

გორც კი თავის ჩანგს კარგავენ სახელის ფორმაში (სხვის-ი, ჩვერდით-ი, ფერად-ი). ქვემოთ აღარ გამოყოფოთ -ის/-ისა დაბოლოებებს სუბსტანტიურ მსაზღვრელზე მსჯელობის დროს.

საერთოდ, მსაზღვრელი, ატრიბუტული იქნება თუ სუბსტანტიური, მოკლებულია საკუთარ ბრუნვას. რიცხვსა და სექსს. მსაზღვრელს ეს კატეგორიები საზღვრულისა უნდა ჰქონდეს, რათა კონკრეტულად განისაზღვროს ესა თუ ის თვისება კონკრეტული აქტანტისა. ეს ყველა დროისა და ყველა ენის მსაზღვრელის თვისებებია. შეიძლება შეიცვალოს გამოხატულების პლანის მიმართება საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის, მაგრამ ვერ შეიცვლება გრამატიკული მიმართება, რომელსაც გამოხატულების პლანთან ერთად შინაარსის პლანიც აქვს საზღვრულისა და მსაზღვრელის გრამატიკული ურთიერთობის ხასიათი მუდმივია. საქართვისა მსაზღვრელად გამოყენებულმა სახელმა შეიძინოს საკუთარი ბრუნვა, რიცხვი, სექსი, ის მაშინვე სუბსტანტივად მოიქცევა, გამოვა მსაზღვრელის სტატუსიდან.

ქვემოთ ვიმსჯელებთ მსაზღვრელის გამოხატულების პლანის მიხედვით ცვლაზე ქართულში ხანმეტი პერიოდიდან დღემდე მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის უცვლელი გრამატიკული ურთიერთობის ფონზე.

ქართული ენის სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობაში უცველესია გამოხატულების პლანის ის ფორმები, რომელებშიც სუბსტანტიური მსაზღვრელი, მსგავსად ატრიბუტული მსაზღვრელისა, სრულად იმეორებს საზღვრულის ბრუნვის ნიშანსა და რიცხვის ნიშანს; მაგალითად: ჟელ-ი კაცისა-დ, ჟელ-მან კაცისა-მან... შრლ.: კაცისა-დ ჟელ-ი, კაცისა-მან ჟელ-მან და სხვ.; მრავლობით რიცხვშიც: ჟელ-ნ-ი კაცისა-ნ-ი, ჟელ-თა კაცისა-თა და სხვ. კაცისანი და კაცისათა ფორმებში ლაბარაკია ერთ კაცზე, -ნ და -თა სუფიქსებს კი იმისთვის ირთავს სუბსტანტიური მსაზღვრელი, რომ ფორმალურად გამოხატოს თავისი განკუთვნება -ნ და -თა- სუფიქსებიან მრავლობითი რიცხვის მქონე საზღვრულთან.

აქვთ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძველი და თანამედროვე ქართულის სუბსტანტიური მსაზღვრელის ფორმალურ შესაძლებლობებში განსხვავება შექმნა „ემფატიკური“ ა ხმოვნის ფუნქციის შეცვლამ. ამ ხმოვანს ისტორიულად რამდენჯერმე შეეც-

ვალა ფუნქცია: ძველ ქართულამდე იგი განსაზღვრებითი ელემენტი ჩანს; როგორც ნ. მარი ვარაუდობს, უნდა მომდინარეობდეს *ჰა ნაცვალსახელისაგან (იხ. მისი "Грамматика древнеписьменного грузинского языка", Л., 1925, გვ. 83 და შემდეგ); ძველ ქართულში - ა ბრუნვის ნიშნის ნაწილი ხდება, რაღაც განსაზღვრებითი ელემენტის ფუნქცია გადადის იგი, ეგვ. ესე ნაცვალსახელებზე; ახალ ქართულში - ა დამოუკიდებელი გახდა და შეიძინა დიერემის როლი — იქცა სადემარგაციო ელემენტად.

ძველი და თანამედროვე ქართულის ვითარების გათვალისწინება აუცილებელია სუბსტანტიურ მსაზღვრელზე მსჯელობისას.

ზემოთ აღწერილი იმ ფორმალურ ურთიერთობაში, როდესაც სუბსტანტიური მსაზღვრელი სრულად იმეორებდა საზღვრულის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს, პირველი ცვლილება ძველ ქართულშივე მოხდა: როგორც კი საზღვრულმა მოახერხა სუბსტანტიური მსაზღვრელის ბლოკირება, ე. ი. მისაკუთრება ნულოვანი ბრუნვის ნიშნებით, ანუ მატერიალური ნიშნის უქონელი მსაზღვრელისათვის იმ გრამატიკული ფუნქციის მინიჭება, რომელიც თვითონ ჰქონდა (კონკრეტული ბრუნვისა, რომელიც ავტომატურად ენიჭებოდა მსაზღვრელს საზღვრულის მიხედვით). ძველ ქართულში „ემფატიკური“ - ა სუბსტანტიურ მსაზღვრელს პრეპოზიციაშიც ჰქონდა და პისტოზიციაშიც, მაშასადამე, მისი მისაკუთრება შეუძლებელი იყო, როდესაც იგი ორ სუბსტანტივს შორის ექცევოდა, თუ არ ექნებოდა დამცავი მექანიზმი.

როგორც ვნახეთ, ეს მექანიზმი იმართებოდა ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებით, კერძოდ: შეუძლებელი იყო ასეთი წინადაღება — „შვილი მეგობრისა ძმასა ხეტყუ“ (1), რაღაც სუბსტანტიური მსაზღვრელი „მეგობრისა“ ორ არის ფორმალურად დაკავშირებული არც წინა და არც მომდევნო სუბსტანტივთან. სუბსტანტიური მსაზღვრელი ამ პოზიციაში (ორ პოტენციურ საზღვრულს შორის) რომელიმე მათგანს უნდა შესთანხმებოდა ბრუნვაში, რათა თავისი განკუთვნება საზღვრულისადმი გაეფორმებონა გამოხატულების პლანში: „შვილ-ი მეგობრისა-ე | ძმასა ხეტყუ“ (1a) ან „შვილი | მეგობრისა-სა ძმასა ხეტყუ“ (1b); მრავლობით რიცხვშიც სათანადო მექანიზმი ამოქმედდებოდა: „შვილ-ნ-ი მეგობრისა-ნ-ი | ძმასა ხეტყუან“ (1c) ან „შვილნი | მე-

ეობრისა-თა ძმა-თა ხეტყვან” (1d).

ადვილი შისახვედრიია, რომ ამ დროსაც შეეძლო სა-ზღვრულს მსაზღვრელის მისაკუთრება ზემოთ აღწერილი საშუალებების გარეშე. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც მსა-ზღვრულს მარტხენა მხრიდან არ ახლდა არსებითი სახელი, მარ-ჯვენა მხრიდან კი ედგა საზღვრული, რომელიც ერთადერთი იყო მასთან კავშირში, მაგ.: „მეგობრისად შვილი ხეტყვს ძმასა” (2). აქ მსაზღვრელის დაბოლოებაში ადვილად ამოქმედდა ხმოვანთა სინტაგმატურ ურთიერთობაში მოქმედი კანონი — ორი ხმოვანი შეიცვალა ერთით. სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ჩავარდა ფო-ნემატური მოთხოვნით, მაგრამ მისი გრამატიკული ფუნქცია და-რჩა, რაც გამოიხატება ნულოვანი ალომორფით: მეგობრისა-Ø შვილ-ი. ეს დამოკიდებულება გაგრძელდა სხვა ბრუნვებშიც, რადგან მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთობაში გაუგებ-რობა არ შექმნდა და ეკონომიურიც იყო: მეგობრისა-Ø შვილ- მან, მეგობრისა-Ø შვილ-სა და ა. შ. ვინაიდან მსაზღვრელს მხო-ლოდ მარჯვნოვ მდგომ საზღვრულთან აქვს ურთიერთობა, მსა-ზღვრელის ნულოვანი ალომორფის ფუნქცია განისაზღვრება სა-ზღვრულის ბრუნვის ნიშანის ფუნქციით.

შეიძლება ასე განვაგრძოთ მსჯელობა: სუბსტანტიური მსა-ზღვრელის განკუთვნება საზღვრულისადმი მაშინ ხდებოდა სადა-ვო, როცა ის საზღვრულის მარჯვნივ იდგა, რადგან ასეთი მსა-ზღვრელის მომღევნოდ არცთუ იშვიათად მოსალოდნელი იყო სხვა სუბსტანტივი, რომელსაც შეეძლო მისი მიტაცება, ამიტომ ძველი ქართულის ამ პოზიციაში ძალაში ჩჩება მსაზღვრელის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში: „შვილმან მეგობრისამან ძმა-სა ხჩქუა...” (3), „შვილი მეგობრისად ძმასა ხეტყვს” (4) და სხვ. ეს მიმართება ფორმალურად (გამოხატულების ბლანის დონეზე) დღესაც ძალაშია: „შვილმა მეგობრისამ ძმას უთხრა...” (5) და სხვ., მაგრამ ახალ ქართულში, ძველისგან განსხვავებით, მსა-ზღვრელ-საზღვრულის ბრუნება დეფექტური განდა: ვეღარ მოი-ნახა ძველი ქართულის შვილისა მეზობლისასა და შვილითა მეზობლისამთა შესიტყვებების გამოხატვის საშუალება. იმის შე-სახებ ა. შანიძე შემდეგს წერდა: „ძველად მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს ყველა ბრუნვა ჰქონდა, მაგრამ დღეს მას ხუთიღა

მოქმედობება: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ვითარებითი და წოდებითი, როგორც ამას შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს:

| | | |
|--------|-----------|--------------------------------------|
| სახ. | სახლი | ხისა |
| მოთხრ. | სახლ-მა | ხისა-შ(ა) |
| მიც. | სახლ-ს(ა) | ხისა-ს(ა) |
| ვით. | სახლ-ად | ხისა-დ |
| წოდ. | სახლ-ო | ხისა-ო(ო) (ა. შანიძე, 1973, გვ. 92). |

ქართულმა ენამ გამონახა საშუალება, სუბსტანტიურმსაზღვრელიანი სახელი ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებშიც გამოეხატა. ივ. გიგინეიშვილის თქმით, ეს ჯერ ლექსის ენაში მოხდა. ა. შანიძის ზემოთ ნათქვამს იგი ასე განაცრობს: „ქალაქისა ქართლისახსა და ქალაქითა ქართლისახთა ფორმების ბადალი ახალ ქართულს აღარ გააჩნია... მაგრამ მსაზღვრელს საზღვრულთან მტკიცედ დაკავშირებული ემფატიური ა შემორჩია, რომელიც პრეპოზიციური წყობისას მსაზღვრელს აღარ შეიძლება ჰქონდეს, და ამის გამო მსაზღვრელი მომდევნო საზღვრულს ველარ დაუკავშირდება. ემფატიური ა ხშავს კონსტრუქციას. ესაა ნორმა ახალი ქართული სალიტერატურო ენისა“ (ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ჰელისტურასნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, 1975, გვ. 336). ამ აზრის კოტა ქვემოთ ასე განაცრობს: „ბრუნვაში შეთანხმება საჭირო აღარაა იმისათვის, რომ კონსტრუქცია დაიხსნას, ამისათვის ემფატიური ა ხმოვნის დართვაა საკმარისის. ბრუნვაში შეთანხმებულ, მაგრამ დეფექტურ ბრუნვებას შეუთანხმებელი, მაგრამ უდევებრტო ცვლის“ (რქვე, გვ. 337).

ივ. გიგინეიშვილი აქ მსჯელობს მსაზღვრელისა და საზღვრულის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების შემდეგი ტაბის წყვილებზე:

| | | | |
|------|--------------------|-------|----------------------|
| ნათ. | ქალაქისა ქართლისა, | მოქმ. | ქალაქითა ქართლისა; |
| ნათ. | ხმისა მგალობლისა, | მოქმ. | ხმითა მგალობლისა; |
| ნათ. | შვილისა მეგობრისა, | მოქმ. | შვილითა მეგობრისა... |

მაშასადამე, ძველი ქალაქისა ქართლისახსა შეცვალა ახალმა ქალაქისა ქართლისა, ხოლო ძველი ქალაქითა ქართლისახთა — ახალმა ქალაქითა ქართლისა შესიტყვებამ იმის გამო, რომ მსაზღვრელის ემფატიურხმოვნიანი დაბოლოება სინ-

ტაქსურად ველარ უკავშირდება მომდევნო სახელს (საზღვრულს): აღარ შეიძლება ქართლისა ბალსა, ქართლისა გენახებსა და სხვ., შესაძლებელია მხოლოდ ქართლის ბალსა, ქართლის გენახებსა და სხვ. (იხ. ივ. გიგინეიშვილი: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წ. VI, 1984, გვ. 43 და შემდეგ).

ციტირებული პასაკების მიხედვით ყალიბდება ორი დებულება: (1) ახალ ქართულში მსაზღვრელი „შემორჩენილი ემფატიკური ა-ს“ საშუალებით კეტავს კონსტრუქციას და ამის გამო კავშირს წყვეტს მომდევნო სახელთან, იგი მხოლოდ წინ მდგომი სახელის (საზღვრულის) მსაზღვრელია; (2) კონსტრუქციის ჩაკეტვის უნარის შექნასთან ერთად სუბსტანტური მსაზღვრელი უბრუნველი ხდება — საზღვრულთან „შეუთანხმებელია“ ბრუნვებში.

სუბსტანტური მსაზღვრელის დიაკრონიული ცვლილების პრაქტიკულად ამომწურავად და სწორად წარმოდგენისა და თანამედროვე ქართულის პოეზიასა და პროზაში მისი ახალი შესაძლებლობების გამოვლენის მიუხედავად, ამ მსჯელობაში სადავო მაინც რჩება თეორიული განზოგადების ხაზით. პირველი: (1) ახალი ქართულის სუბსტანტური მსაზღვრელის ბოლო -ა ელემენტს „შემორჩენილ ემფატიკურ ა-ს“ უერ ვუწოდებთ, რადგან ძველი ქართულის ა ან ბრუნვის ნიშნის განუყოფელი ნაწილი იყო (ძმ-ისა-თჭ), ან წარმოქმნის ელემენტისა (ძმისა-Ø მეგობარ-ი), ახალ ქართულში კი ეს ა გამოეყო ბრუნვის ნიშანს და სრულიად განსხვავებული ფუნქცია შეიძინა, იგი დიერემაა, ამიტომაც არის, რომ მას კვლებით, ვარდა სახელისა, რომელიც იბრუნვის, მეტყველების სხვა ნაწილებთანაც, რომლებიც არ იბრუნვიან — მისი ახალი ფუნქციაა სხვადასხვა მასშტაბის ელემენტთა დელიმიტაცია, ასე, მაგალითად: შეიძლება „იქა წერს“, მაგრამ არ შეიძლება „იქა დაწერს“, რადგან ზნიშნინი აღნიშნავს სიტყვის დასაწყისს და საჭირო აღარ არის მის წინ -ა დიერემა (ამ შემთხვევაში სიტყვის დამთავრების ნიშანი); ახლა ეს -ა ვნახოთ ნაწილაქთან: შეიძლება „არა წერს“, მაგრამ არ შეიძლება „არა დაწერს“. „იქა“ და „არა“ სიტყვებში ბოლო -ა დიერემაა. „არა დაწერს“ იმავე მიზეზით იქრაალება, რა მიზეზითაც არ შეიძლებოდა ამ აღვილზე „იქა“ ზმინზედა... ახლა ავიღოთ წინადაღება: „დაწერა იქა, წილო და ჩაბარა“ (5). -ა დიერემა (იქა) უკავშირდება მარცხნივ მდგომ ზმნას, ამიტომ მძიმე დაიწერება ზმნი-

შედის შემდეგ. - ა დიერემამ აქაც ჩაკეტა კონსტრუქცია, რადგან არ შეიძლება „იქა წაიღო“. მაშასადამე, ა ხმოვანმა სუბსტანტიური მსაზღვრელის ბოლოს დიერემად ჩეინტერპრეტირების შემდეგად შეძლო კონსტრუქციის ჩაკეტვა, რასაც, როგორც ვნახეთ, სხვა მეტყველების ნაწილებთანაც აკონტა.

მეორე: სუბსტანტიურ მსაზღვრელთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თვალში საცემია ის, რომ, მას თუ არ ახლავს იგივე ბრუნვის ნიშნები, რომლებიც საზღვრულს მოსდევენ, ასეთი მსაზღვრელი უბრუნველად მიაჩინათ (ი. მაგალითად, ზემოთ ციტირებული „ბრუნვაში შეთანხმებულ, მაგრამ დეფექტურ ბრუნვებს შეუთანხმებელი, მაგრამ უდეფექტო ცვლის“). ასეთი მიდგომა თეორიულად დაუშვებელია, თუ მივიღებთ დეტულებას, რომ მსაზღვრელი გრამატიკულად მხოლოდ თავის საზღვრულთან არის დაკავშირებული, კავშირი კი განხორციელებულია საზიარო კატეგორიებით (ბრუნება, რიცხვი, სქესი), რათა ამით გამოიხატოს მსაზღვრელის განკუთვნება კონკრეტული საზღვრულისადმი. გამოხატულების პლანში ეს განაპირობებდა მათ საზიარო ფორმებსაც. მაგრამ, როცა ენა ახერხებს მსაზღვრელის ცალსახად მიმაგრებას კონკრეტულ საზღვრულზე, მას შეუძლია ასეთ შემთხვევაში საზღვრულთან საზიარო კატეგორიების გამოსახატავად მსაზღვრელთან მიმართოს ნულოვან ალომორფებს, რომელთა გრამატიკული ფუნქცია ყოველთვის გასაგებია საზღვრულის მიხედვით. ურთიერთობის ეს სახე უფრო ეკონომიკურია გამოხატულების პლანში, როცა შინაარსის პლანი უცვლელი ჩჩება და არაფერი ემუქრება მის სწორად გაგებას. ამ საფუძველზე დიერემიანი სუბსტანტიური მსაზღვრელი უნდა წარმოვადგინოთ ნულოვანი ალომორფებით:

| | |
|--------------|-------------|
| სახ.: მმა-Ø | მეგობრისა-Ø |
| მოთხრ. ძმა-მ | მეგობრისა-Ø |
| მიც. | მეგობრისა-Ø |
| ნათ. | მეგობრისა-Ø |
| მოქმ. | მეგობრისა-Ø |
| ვით. | მეგობრისა-Ø |

თუ სუბსტანტიური მსაზღვრელის ბოლოს გრამატიკული ანალიზის დროს ნულოვან ალომორფებს არ მივმართავთ, მაშინ „ძმა-მ მეგობრისა-მ“, „ძმა-ს მეგობრისა-ს“ ტიპის შესიტყვებების არსებობის დროს უნდა ვთქვათ, რომ პოსტონზიციური სუბსტანტიური მსაზღვრელი საზღვრულთან ხან შეთანხმებულია ბრუნვებში, ხან კი — არა, რის შედეგადაც, გარდა ურთიერთგამოძრიცხავი დებულებებისა, იმის გაუთვალისწინებლობაც გამოვა, რომ მსაზღვრელი არ არსებობს საზღვრულის გარეშე. მათ მუდმივ გრამატიკულ კავშირს კი განაპირობებს მუდმივი საზიარო კატეგორიების შინაარსის პლანში, რასაც დიაქტონიულად შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ გამოხატულების პლანის ცვლილება, როგორც ეს ხდება სხვა ტიპის გრამატიკული ურთიერთობის გამოხატულების პლანში დიაქტონიულად.